№ 2

თებერვალი 2020წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

დავით შერაზადიშვილმა საზოგადოებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა

გვ: 2

საქართველოს პარლამენტის წევრი გოგი მეშველიანი, ბოლნისის ისტორიულ უბანში სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

გვ: 5

სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება

გვ: 6

დავით შერაზადიშვილმა საზოგადოებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა საკრებულოს დეპუტატებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატ გოგი მეშველიანს, არასამთავრობო სექტორს, მედიასა და მოსახლეობას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშში ყურადღება

ბოლნისის მუნიციპალიტეტში გასულ წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სოციალურ პროგრამებზე გაამახვილა. დასასრულს კი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა დამსწრე საზოგადოებას 2020 წელს დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. ანგარიშს კომპანია RMG-ის კორპორაციული დირექტორის მოადგილე ირაკლი შატაკიშვილი და სოციალური პროექტების მართვის სამსახურის უფროსი დავით მენაბდიშვილი ესწრებოდნენ.

„მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას 2019 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია გავაცანი. გასული წელი ყველა

მიმართულებით განსაკუთრებით წარმატებული და ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის. 2019 წელმა თავი დაგვამახსოვრა არაერთი მასშტაბური პროექტით, რომლებმაც ჩვენი მოქალაქეების საცხოვრებელი პირობები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. აღსანიშნავია, რომ შარშან ბოლნისის მუნიციპალიტეტმა შეძლო საკუთარი პოტენციალისა და გამოცდილების საერთაშორისო დონეზე გატანა და გაზიარება, რაც ბოლნისის განვითარებისათვის უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ჩვენს მუნიციპალიტეტში 2019 წელს 10 575 440 ლარის ღირებულების 124 პროექტი განხორციელდა, რომელიც 100 %-ით არის შესრულებული. გასულ წელს სოციალურ და ჯანდაცვის პროექტებს 4,428,702 ლარი მოხმარდა. დახმარება 9381 მოქალაქეს გაეწია. განათლების კუთხით კი 2019 წელს 1,400,311 ლარი დაიხარჯა", – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 1 428 000 ლარი დაიხარჯება

ბოლნისის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარე წლის 3 თებერვალს დაიწყო და 2 მარტს დასრულდა. შეხვედრები ჩატარდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის 47 სოფელში. მოსახლეობის მოთხოვნით, მიმდინარე წელს სოფლებსა და დაბებში გაგრძელდება გასულ წელს დაწყებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მოგვარდება სასმელი და სარწყავი წყალის პრობლემა, მოწესრიგდება შიდა გზები და დამონტაჟდება გარე განათებები. ჯამში წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 1 428 000 ლარი დაიხარჯება.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში დაგეგმილი კრებები ისევე როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წელსაც წარმატებით დასრულდა, ყველა სოფელსა თუ დაბაში მოსახლეობამ თავად აირჩია ის პრიორიტეტული საკითხები რომლებიც პირველ რიგში უნდა მოგვარდეს, ეს ჩართულობა კი ვფიქრობ, პროექტს მეტად საჭიროს ხდის. 2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის 714 000 ლარი გამოიყო. მუნიციპალიტეტმა პროექტების განსახორციელებლად 100 %-იანი თანადაფინანსების ვალდებულება აიღო. ჯამში წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ამ პროგრამის ფარგლებში, 1 428 000 ლარი დაიხარჯება. მოსახლეობის მიერ დასახელებული პროექტების განხორციელება კი უახლოეს დღეებში დაიწყება, " განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი ახალი რედაქციით დამტკიცდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი ახალი რედაქციით დაამტკიცა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა და მაქსიმალურადაა მოქალაქეების ინტერესებზე მორგებული.

თუ აქამდე ბოლნისის მერია სტიქიის, ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს, ერთჯერად მატერიალურ დახმარებას უწევდა, ცვლილების შედეგად ერთჯერადი დახმარება სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებზე გავრცელდება. კერძოდ: პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს); სტიქიის შედეგად მაღალმთიანი რეგიონებიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებულ, სოციალურად დაუცველ ოჯახებს(სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს), რომელთა სახლებიც არ არის საცხოვრებლად ვარგისი; სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და რომლებსაც 65 000-დან 100 000-მდე ქულა მინიჭებული აქვთ გასულ და მიმდინარე წლებში), რომელთაც ჰყავთ სამი, ან მეტი შვილი და საცხოვრებელი სახლები არ არის საცხოვრისად ვარგისი; სოციალურად დაუცველ მარტოხელა პენსიონერებს (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს), რომელთა სახლებიც არ არის საცხოვრებლად ვარგისი და ასევე ოჯახებს, რომლებიც იმყოფებიან უკიდურეს ეკონომიკურ გასაჭირში და დახმარების გაცემის მომენტში ვერ ხვდებიან ამ მუხლით გათვალისწინებულ კატეგორიებში.

ახალი წესი ძალაში შევიდა 1 თებერვლიდან.

სტუდენტური დაფინანსების პროგრამა გრძელდება

ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სტუდენტების დაფინანსების მიზნით, იწყებს, საბუთების მიღებას. გთხოვთ, დოკუმენტაცია წარადგინოთ მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში. ფულადი დახმარების პროგრამაში, კატეგორიების მიხედვით, სტუდენტები ჩაერთვებიან დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემდგომ.

მუნიციპალიტეტი სტუდენტურ დახმარებას გასცემს შემდეგ კატეგორიებზე:

1.ობოლი სტუდენტები და სტუდენტები მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ცნობა სასწავლებლიდან;
3. გარდაცვალების მოწმობა;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი;
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი.

2. სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან , რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დევნილის მოწმობა;
3. ცნობა სასწავლებლიდან;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი.

3. სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000 ქულამდე) ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სოციალურად დაუცველის მოწმობა (0 დან 100 000 ქულამდე);
3. ცნობა სასწავლებლიდან;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი.
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი.

4. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი), რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლები (ყველა დედმამიშვილის);
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი.

5.სტუდენტები ოჯახებიდან, რომელშიც ორი ან მეტი სტუდენტია და სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი.

6.წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;

4ცნობა სასწავლებლიდან;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი;
6. ამონაწერი ქულების შესახებ (81-დან 90-ის ჩათვლით 50 ლარი);
7. წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი;
6. ამონაწერი ქულების შესახებ (91-დან 100-ის ჩათვლით 100 ლარი).
7. შშმ. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი;
6. შშმ სტატუსი.

„არასრულწლოვანთა მსჯავრდებულების კოდექსი“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, რომელიც გახდა სტუდენტი – 100 ლარი

1. პირადობის მოწმობის ასლი
2. დაბადების მოწმობის ასლი
3. პირადი ანგარიში ბანკიდან
4. ცნობა სასწავლებლიდან
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა 1) ასლი
6. განრიდების ოქმი, დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ, ან დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ან გამამტყუნებელი განაჩენი, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.

გთხოვთ გაითვალისწინონ სასწავლებლიდან ცნობა გაცემული უნდა იყოს სწავლის დაწყების შემდგომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოდგენილი საბუთები არ განიხილება.

ბოლნისის „ეტალონი“ მოსწავლე ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის მოსწავლე გახდა

დაბა კაზრეთის მეორე საჯარო სკოლამ 6 თებერვალს, რეგიონული ტურნეს ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ-ინტელექტუალურ პროექტს უმასპინძლა. „ეტალონ მოსწავლის“ ტიტულის მოსაპოვებლად, საჯარო და კერძო სკოლის 82 მოსწავლე იბრძოდა. დაძაბული ინტელექტუალური შეჯიბრის გამარჯვებული, 80 ქულით, ქალაქ ბოლნისის პირველი საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ნიკოლოზ პაპუნაშვილი გახდა, მან საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ღონისძიებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის უფროსი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტში ბოლნისის მაჟორიტარის ბიუროს და კომპანია „არემჯის“ წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ეტალონი მოსწავლე“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიისგან ერთი წლის განმავლობაში 100 ლარიან სტიპენდიას მიიღებს. პროექტის გამარჯვებულმა, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის გოგი მეშველიანის სახელით, სიმბოლური საჩუქარი მიიღო, კომპანია „არემჯიმ“ კი, რომელიც მესამე წელია საგანმანათლებლო პროექტის მხარდამჭერია, გამარჯვებულ მოსწავლეს პლანშეტი გადასცა.

„ეს პროექტი, დიდი სტიმულის მომცემია თითოეული მოსწავლისთვის, აქ საკუთარ თავში და უნარებში დარწმუნების უსაზღვრო შესაძლებლობაა. ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ წელს ბოლნისის „ეტალონი მოსწავლე“ ჩვენი სკოლის IX კლასის მოსწავლე ნიკოლოზ პაპუნაშვილი გახდა. არ ველოდი, თუმცა არც გაგვიკვირდა, იმიტომ, რომ ნიკა ყოველთვის გამოირჩეოდა წიგნიერებით, აზროვნებით და გონების სისხარტით. ნიკასგან ველოდებით მეტ წარმატებას. დიდი მადლობა ამ პროექტს, ეს სხვა მოსწავლეებისთვისაც დიდი სტიმულია. ნიკას ვულოცავ და ვუსურვებ გაემართლებინოს ჩვენი სკოლის სლოგანი-„ტრადიციულად პირველები“. აღნიშნა N1 საჯარო სკოლის დირექტორმა.

მიღწეულ წარმატებებზე და სამომავლო გეგმებზე ბოლნისის „ეტალონი მოსწავლე“ ვრცლად გვესაუბრა.

-ნიკოლოზ, შენ ბოლნისის „ეტალონი მოსწავლე“ გახდი, გვიამბე იმ ემოციებზე, რაც განიცადე.

-თავდაპირველად, სანამ ჩემს სახელს დაასახელებდნენ, ვნერვიულობდი და ვღელავდი, რაც გარეგნულადაც მეტყობოდა. როდესაც მე დამასახელეს, ეს იყო უდიდესი გამარჯვება, რაც ძალიან გამიხარდა.

-არაა ადვილი 82 მოსწავლეს შორის ყველაზე წარმატებულად დასახელდე, ელოდი ასეთ შედეგს?

-ასეთ შედეგს არ ველოდი, თან ასეთ კონკურსზე პირველად მივიღე მონაწილეობა, ფსიქოლოგიურადაც დაძაბული ვიყავი.

-სკოლის როლი შენს განვითარებაში?

-ჩემს განვითარებაში სკოლას დიდი როლი მიუძღვის, პირველ რიგში ხომ სკოლიდან, მასწავლებლებისგან ვიღებთ განათლებას, მათი და ჩემი შრომისმოყვარეობის შედეგად, გავხდი ბოლნისის „ეტალონი მოსწავლე“. უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და მიხარია, რადგან მასწავლებლები მაქებენ, მეუბნებიან, რომ მათი იმედი გავამართლე.

-რამდენად შეცვალა შენი გეგმები ამ გამარჯვებამ?

-რაღაც მხრივ შეცვალა, ვფიქრობ კიდევ მეტი უნდა მოვინდომო. დავისახო მიზანი და ამ მიზნისთვის უნდა ვიშრომო, მე კარგად ვსწავლობ სკოლაში და წარმატებისთვის ცოდნა დიდ როლს ასრულებს.

-ნიკოლოზ, როგორ ატარებ თავისუფალ დროს, სწავლას დიდ დროს უთმობ?

-სწავლას ალბათ 4 საათს, ზუსტად ვერ გეტყვით, თავისუფალ დროს კი მეგობრებთან ერთად ვატარებ. ვაღიარებ, მიყვარს გართობა და სხვა მრავალი რამ, როგორც ყველა ბავშვს. სკოლაში სიარულის გარდა დავდივარ ქადრაკზე. ძალიან მიყვარს ხატვა. საგნებიდან მომწონს მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, თავისუფალ დროს ვკითხულობ, არასოდეს მომწყინდება მარკო ზუზაკის „წიგნის ქურდი“.

-სამომავლოდ სად ხედავ შენს თავს?

-არ ამირჩევია პროფესია, მაგრამ აუცილებლად ვისწავლი კარგად და ჩავაბარებ უნივერსიტეტში. შესაძლოა მეცნიერების კუთხით წავიდე. ვიცი ასევე ის, რომ ავიწყობ კარიერას, ცოდნას და გამოცდილებას მოვახმარ ჩემს ქვეყანას.

ასეთი ხედვები, მიზნები და სამომავლო გეგმები აქვს ბოლნისის „ეტალონ მოსწავლეს“. კარგად იცის უნდა იშრომოს, მოინდომოს, რომ კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწიოს.

გაზეთი „ბოლნისი“ ნიკოლოზ პაპუნაშვილს უამრავ გამარჯვებას უსურვებს.

მაგდა დევნოზაშვილი

დავით შერაზადიშვილმა ისტორიკოს ზურაბ ერისთავს ბოლნისის საპატიო მოქალაქის ჯილდო გადასცა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის,მუნიციპალიტეტის მერმა ბოლნისის კოლორიტი, ისტორიკოსი ზურაბ ერისთავი, ბოლნისის საპატიო მოქალაქის წოდებით დააჯილდოვა.

ზურაბ ერისთავი 1995-1999 წლებში ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უფროს მეცნიერ-მუშაკად მუშაობდა. 1987 წელს ის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის საპატიო ქარვის ჯვრით დაჯილდოვდა.

„ზურაბ ერისთავმა დიდი წვლილი შეიტანა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განვითარებისა და მუნიციპალიტეტის თანამედროვე ისტორიის კვლევის საქმეში. ის ბოლნისის ცოცხალი მემატიანეა, მისი პროფესიონალიზმი და სიყვარული ჩვენი ქალაქისადმი ძალიან დასაფასებელია, ამიტომ მოხარული ვარ, რომ მას ბოლნისის საპატიო მოქალაქის წოდება მივანიჭეთ. ვიმედოვნებ, რომ ზურაბ ერისთავის ღვაწლი და შემართება ახალგაზრდა თაობებისთვის ერთგვარი სტიმული იქნება “, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

რატომ არ არის რიყის ქვები მტკვრის ფსკერზე - ,,მარტივ კითხვებს“ ალექსანდრე ლომსაძე პასუხობს

,,გაზეთი ბოლნისი“ აგრძელებს სახალისო რუბრიკას. რუბრიკის სტუმარი ალექსანდრე ლომსაძეა, რომელმაც უმარტივეს კითხვებზეც მოახერხა „დაბნეულიყო“.

-გამარჯობა, ვიწყებთ. რა არის ქვეყნად ისეთი, რაც ყველაფერს სჭირდება?

-ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

-სანდრო ყველაფერს და არა ყველას.

-რა არის ამისთანა.

-სახელი სანდრო, სახელი.

-ეგ ჰო ვიცოდი.

-ვიცი. ყველაზე ცელქი ბავშვი როდის არის ყველაზე მშვიდად?

-როდესაც რამეთი ერთობა, ან ბევრი კამფეტები აქვს.

-შეიძლება გართობის დროს თავზე დაიმხოს ყველაფერი, შენ როდის იყავი მშვიდად ბავშვობაში? ანუ ყველაზე საყვარელი როდის იყავი?

-ენა რომ ამოვიდგი, ალბათ მაშინ.

-სანდრო კაი რა, თვალები დახუჭე აბა.

-აა, როდესაც სძინავს.

-მართალია, რისი შეჩერება არ შეუძლია არავითარ ძალას?

-დროის.

-დიახ. დილას გრძელია, შუადღეს მოკლე, საღამოს ისევ გრძელდება?

-ჩრდილი.

-წარმოიდგინე, რომ მოგზაურობ ეკვადორის გარშემო, აღმართი უფრო მეტი შეგხვდება თუ დაღმართი?

-თანაბარი რაოდენობით ორივე.

-ყოჩაღ. მე-17 საუკუნეში, რომელია ისეთი წელი თავდაყირა რომ დააყენო მაინც არ შეიცვლება?

-აუფ, რა დაგიშავე დაჯი.

-აიღე პასტა და ფურცელი და დაწერე. ათას ექვსას...

-კაი. ვწერ 1616

-ამოაბრუნე.

-არა ეგ არაა, მითხარი.

-კარგი 1691. შემოაბრუნე.

-კარგი გავიგე, გავიგე.

-როგორ მდგომარეობაში არ გიპასუხებს ადამიანი არასოდეს, დიახ?

-გააჩნია მოვლენები როგორ განვითარდება.

-სანდრო რა შუაშია მოვლენები, როგორ მდგომარეობაში ვერ უპასუხებ ადამიანს?

-როცა გძინავს.

-დიახ, ნამდვილად. უმარტივესია ახლა რასაც გკითხავ. ცხოველს კატის თავი და კატის კუდი აქვს, იგივე საჭმელს ჭამს, რასაც კატა, მაგრამ კატა არაა, უფრო საყვარელი ცხოველია.

-ფოცხვერი?

-რატომ უნდა იყოს ფოცხვერი საყვარელი, სანდრო?

-გააჩნია გემოვნებას.

-კატა არ ჰქვია, უფრო პატარა და საყვარელი.

-ფისო, ანუ კნუტი.

-დიახ. ლენინი როდის იცავდა მეფეს?

-ლენინის დროს სად იყო მეფე, ქადრაკის დროს ალბათ.

-კი, ყოჩაღ. როგორი ბუჩქის ქვეშ იმალება კურდღელი წვიმიან ამინდში?

მონადირე კაცი ხარ და გეცოდინება.

-ფოთლოვანში და თვალსაჩინო რომ არაა ისეთში.

-სანდრო, წვიმიან ამინდში.

-სველი ბუჩქი. რა საწყალი ვარ, მაგ კურდღელივით როგორ მაბნევ.

-იფიქრე და არ დაიბნევი. როგორი ქვები არ არის მდინარე მტკვრის ფსკერზე?

-რიყის? ვაიმე მშრალი.

-კი მშრალი. კბილები აქვს, მაგრამ ჭამა არ შეუძლია, რა არის?

-ხერხი.

-ყოჩაღ. ზღვა უფრო მეტ ცხოველს კვებავს თუ დედამიწა?

-დედამიწა, რადგან ზღვასაც დედამიწა კვებავს.

-სუპერ. მაგარი ხარ. როგორი საათი უჩვენებს ზუსტ დროს დღე-ღამეში, მხოლოდ ორჯერ?

-გაჩერებული.

-კარგია. სად უნდა მოვძებნოთ ისეთი ქალაქი, სადაც ხალხი არ ცხოვრობს?

-რუკაზე.

-რა არის მსოფლიოში ორი ისეთი მოვლენა, რომელიც არავის ახსოვს და არავინ იცის?

-დაბადება და სიკვდილი.

-მართალია. სად თიბავენ თივას?

-თივა არ ითიბება, ბალახს თიბავენ.

-ნამდვილად. იფიქრე, ბოლო კითხვაა და უმარტივესია. მარტოხელა ღამის დარაჯი დღისით გარდაიცვალა, დაენიშნება თუ არა მის ცოლს პენსია?

-როგორ? არ დაენიშნება, იმიტომ რომ მარტოხელა იყო.

-მადლობა, კარგად იხალისე, ვინ იქნება შემდეგი სტუმარი?

-მარიამ ჩაკვეტაძე.

დარეჯან ოქრუაშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი გოგი მეშველიანი, ბოლნისის ისტორიულ უბანში სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

ქალაქ ბოლნისში, თამაზ სტეფანიას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების მე-2 ეტაპი დაიწყო. პროცესს პარლამენტის წევრი ადგილზე, თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან ერთად გაეცნო.

55 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების ფარგლებში, მიმდინარეობს ფასადების რეაბილიტაცია.

ისტორიულ უბანში, ინფრასტრუქტურის მოწყობა ევროკავშირის მიერ, მერები ეკონომიკური ზრდისთვის M4EG ინიციატივის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება“ ფარგლებში ხორციელდება.

ისტორიულ უნანში გასულ წელს, მოეწყო მიწისქვეშა კომუნიკაციები, დაიგო ქვაფენილი და დამონტაჟდა გარე განათების სისტემა.

,,მჯერა გავამართლებთ ბოლნისელი გულშემატკივრის იმედებს და „სიონი“ კვლავ ითამაშებს ღირსეულ ფეხბურთს“

7 თებერვლიდან, საფეხბურთო კლუბ „სიონს“, ლევან სანიკიძე ხელმძღვანელობს. მანამდე კი, „დილასა“ და „ცხინვალის“ ხელმძღვანელობაშიც მუშაობდა. როგორც თავად აღნიშნა, ჩვენი მუნიციპალიტეტი მისთვის უცხო არ არის, ის როგორც ფეხბურთელი,

ბოლნისის „სიონში“ ოთხი წელი თამაშობდა.

რა გეგმები აქვს და როგორ აპირებს გუნდის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას, ამაზე ვრცლად ,,გაზეთ ბოლნისთან“ ლევან სანიკიძემ ისაუბრა.

-ამ ეტაპზე, ბოლნისში ახალი პოზიციითა და ახალი გამოწვევებით დავბრუნდი, თუმცა ძველი შემართებით და ენთუზიაზმით. ვეცდები დასახულ მიზანს მივაღწიო, გავაუმჯობესო ვითარება, წავიდე სწორი მიმართულებით. ამის გათვალისწინებით, საფეხბურთო კლუბ „სიონს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც არაერთი ლიცენზიის მფლობელი და თავისი საქმის პროფესიონალია. მთავარ მწვრთნელთან ერთად, გვყავს დამხმარე მწვრთნელები ლაშა ფირცხალაიშვილი და მანუჩარ მანჯავიძე. სამწუხაროდ, პროცესი გვიან დავიწყეთ, მაგრამ დიდი იმედებითა და ენთუზიაზმით ვცდილობთ სამუშაო ეტაპზე გადასვლას. კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, კლუბი „სიონი“, უმეტესწილად, დატოვეს ფეხბურთელებმა, რამდენიმე მათგანი კვლავ დაბრუნდა კლუბში იმ მოტივაციით, რომ იშრომონ და იბრძოლონ მაღალი მიზნებისთვის, ასევე „სიონს“ ნელ-ნელა და ეტაპობრივად დაემატება ახალი ფეხბურთელებიც. იმედს ვიტოვებ, ერთად დავძლევთ სირთულეებს და გადავლახავთ ყველანაირ დაბრკოლებას.

პირველ რიგში მინდა ადგილობრივ ხელმძღვანელობას დიდი მადლობა გადავუხადო გამოცხადებული ნდობისთვის, სწორედ მათი გვერდში დგომით, კომპანია „არემჯი“ კვლავ დარჩა სპონსორად. ჩვენი მხრიდან შევეცდებით გუნდი დაბრუნდეს უმაღლეს ლიგაში. რაც შეეხება არსებულ ხარვეზებს, სამუშაო პროცესი გვაჩვენებს, როგორი პრევენციული ღონისძიებებია გასატარებელი. ახალი სეზონისთვის უკვე დავიწყეთ ყოველდღიური ვარჯიშები (თბილისში), თითქმის კარზეა მომდგარი ჩემპიონატი, ამისთვის გეგმები და მიზნები დიდი გვაქვს, რომელსაც გარკვეული მუშაობა და ბრძოლა სჭირდება. ეს არის რაც ამ ეტაპზე შემიძლია ვთქვა. უახლოეს მომავალში ვაპირებთ ეკიპირების შეძენას, ვცდილობთ, სრულფასოვნად გამოიყურებოდნენ ფეხბურთელები, ისე, როგორც ბოლნისის „სიონს“ შეეფერება. რა თქმა უნდა გველის სირთულეები, მაგრამ კვალიფიციური მწვრთნელით და ძლიერი გუნდით, ამ დაბრკოლებებს აუცილებლად გადავლახავთ და ვეცდებით პაუზა, რომელიც გუნდს ჰქონდა, შრომითა და ვარჯიშებით ავანაზღაუროთ. მჯერა გავამართლებთ ბოლნისელი გულშემატკივრის იმედებს და საფეხბურთო კლუბი „სიონი“ კვლავ ითამაშებს ღირსეულ ფეხბურთს და ისევ დაბრუნდება უმაღლეს ლიგაში.

ახალ ხელმძღვანელთან ერთად, კლუბს ახალი მთავარი მწვრთნელიც ჰყავს. PPRO ლიცენზიის მქონე, კვალიფიციურმა მწვრთნელმა, დავით ქოქიაშვილმა, კლუბთან კონტრაქტი, 10 თებერვლიდან გააფორმა. დავით ქოქიაშვილი ბოლნისის „სიონამდე“ საგარეჯოს „გარეჯს“ წვრთნიდა.

პერსპექტიული ფეხბურთელი მწვრთნელობამდე სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო გუნდებშიც თამაშობდა და როგორც კლუბის ხელმძღვანელისთვის, ასევე მისთვისაც, ეს მხარე და გუნდი უცხო არ არის.

16 წლის ასაკში ვთამაშობდი გერმანულ კლუბ „კარსრუეში“, შემდეგ ჩავირიცხე მოსკოვის „სპარტაკში“, საიდანაც განათხოვრებით თამაში „ვიტჯორჯიაში“ გავაგრძელე, ასევე ნათამაშები მაქვს თბილისის „ლოკომოტივში“, „დინამოში“ და ბოლნისის „სიორში“. ვთამაშობდი აზერბაიჯანის „ბაქილიში“ და საბერძნეთის „ეთნიკოს ასტერაში“, რის შემდეგაც მალევე დავასრულე სათამაშო კარიერა. პირველი ჩემი დებიუტი მწვრთნელის ამპლუაში, ლიცენზიის გავლის შემდეგ, ბავშვთა ფეხბურთში შედგა, ხოლო A ლიცენზიის გავლის შემდეგ, პროფესიონალ ფეხბურთში ჩავერთე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კარგი სეზონი გვქონდა საგარეჯოს „გარეჯში“. ამ ეტაპზე ბოლნისის „სიონში“ მუშაობა ფორსმაჟორული სისტემით გვიწევს, რადგან გვიან ფაზაში მოხდა ფეხბურთელების შერჩევა-დამატება და სავარჯიშო პროცესები., მინდა ჩემი ხედვითა და მეთოდოლოგიით გავაგრძელო მუშაობა ბოლნისში. მაქსიმუმს გავაკეთებ სტაფთან ერთად იმისთვის, რომ „სიონი“ კვლავ დავაბრუნოთ უმაღლეს ლიგაში, დარწმუნებული ვარ, მოთამაშეები, რომლებსაც ჩვენთან მოუწევთ მუშაობა, თავდაუზოგავად იშრომებენ. დიდ გვერდში დგომას ვგრძნობ ადგილობრივი ხელმძღვანელობიდან და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად შევძლებთ დასახული მიზნის რეალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის დაწყებამდე ცოტა დრო გვრჩება, დაბრკოლებებს ერთად, გუნდურად და დიდი ძალისხმევით გავუმკლავდებით. ბოლნისის „სიონი“ კვლავ დაბრუნდება უმაღლეს ლიგაში.

მარინა გავაშელი

სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება

თებერვლის დასაწყისში, სტიქიამ ბოლნისის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი, ქალაქი ბოლნისი და დაბა კაზრეთი დააზარალა. ძლიერმა ქარმა საცხოვრებელი სახლების, კერძო და საჯარო დაწესებულებების სახურავები დააზიანა. დაზარალებულები საქართველოს პარლამენტში ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა მოინახულეს. ოჯახებს პირველადი დახმარება გაეწიათ. მუნიციპალიტეტში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა კი, რომელიც სტიქიის, ხანძრისა და სხვა უბედური ფორსმაჟორული შემთხვევის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობას იკვლევს, ამ ეტაპზე, აუდიტთან ერთად შეისწავლა 54 ოჯახი, ზარალის მიხედვით მათ მუნიციპალიტეტის მერია მატერიალურ დახმარებას გაუწევს. მოქალაქეების განცხადებების შესაბამისად, დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შესწავლა კიდევ გრძელდება.

რა არის ახალი კორონავირუსი?

კორონავირუსი (COVID-19) არის კორონავირუსების ახალი შტამი, რომლის ადამიანთა შორის გავრცელება, პირველად 2019 წელს ჩინეთში ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირდა. ჯანმრთელობის ექსპერტების შეშფოთებას იწვევს ახალი ვირუსის შესახებ მწირი ინფორმაცია და ის ფაქტი რომ მას აქვს პოტენციალი გამოიწვიოს მძიმე დაავადებაც 20-25 %-ში და ზოგიერთ შემთხვევაში პნევმონია.

ახალი კორონავირუსის მქონე პაციენტებს სიმპტომები გამოუვლინდათ, ვირუსთან ექსპოზიციის შემდგომ 2-14 დღის განმავლობაში.

როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი?

- წვეთოვანი გზით: ხველით და ცემინებით;
- თვალზე, პირზე, ცხვირზე დაუბანელი ხელის შეხებით;
- დაავადებულთან მჭიდრო კონტაქტით, შეხება ხელის ჩამორთმევა;
- იშვიათ შემთხვევაში ფეკალიებთან კონტაქტით;

რა არის ახალი კორონავირუსის სიმპტომები?

ახალი კორონავირუსის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ რესპირაციული დაავადების სიმპტომები, როგორიცაა:

ცხელება;

ხველა,

სუნთქვის გაძნელება;

მძიმე დაავადება;

ვინ იმყოფება რისკის ქვეშ?

ამჟამად ზოგადი პოპულაციისთვის რისკი დაბალია. ადამიანები, რომლებსაც არ უმოგზურიათ COVID-19-ის გავრცელების არეალში რისკი დაბალია. პირებმა რომელიც იმოგზაურეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, იტალიაში, ირანში, სამხრეთ კორეაში და ქვეყანაში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში იმყოფებიან რისკის ქვეშ. ასეთმა პირებმა, თუ 14 დღის განმავლობაში გამოუვლინდათ რესპირაციული სიმპტომები, უნდა მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას.

ახალი კორონავირუსული (COVID-19) ინფექციის ძირითადი პროფილაქტიკური ღონიძიებები

ხშირად დაიბანეთ ხელები

ხელები ხშირად დაიბანეთ საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით.

რატომ?

ხელების დაბანა საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით, ანადგურებს ხელების ზედაპირზე არსებულ ვირუსებს.

სასუნთქი სისტემის ჰიგიენა

ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი. ცხვირსახოცი გამოყენებისთანავე დახურულ ურნაში გადააგდეთ და დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით.

რატომ?

ხველისა და ცემინების დროს პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცის ან მოხრილი იდაყვის აფარებით თქვენ ხელს უშლით ვირუსებისა და მიკრობების გავრცელებას.

ხველისა და ცემინებისას ხელის აფარების შემთხვევაში, თქვენი ხელის ზედაპირებზე არსებულ მიკრობებსა და ვირუსებს ავრცელებთ ირგვლივ მყოფ საგნებზე და ადამიანებზე, ამ ქმედებით კი ხელს უწყობთ ინფექციის გავრცელებას.

შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია

შეინარჩუნეთ არანაკლებ 1 მეტრი მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ.

რატომ?

რესპირაციული ინფექციით ინფიცირებული ადამიანი, მათ შორის ახალი COVID-19 ინფექციით, ხველისა და ცემინების დროს ავრცელებს ვირუსის შემცველ წვეთებს, თუ თქვენ ამ დროს იმყოფებით ძალიან ახლო მანძილზე, შესაძლებელია ჩაისუნთქოთ ვირუსი.

არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს.

რატომ?

ხელებით თქვენ ეხებით ისეთ ზედაპირებს, რომლებიც შესაძლებელია ვირუსით იყოს დაბინძურებული.

თუ დაბინძურებლი ხელებით შეეხებით თვალს, ცხვირსა და პირს, შესაძლებელია ვირუსი საგნების ზედაპირიდან საკუთარ თავზე გადაიტანოთ.

თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება დროულად მიმართეთ ექიმს.

აუცილებლად მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყანაში სადაც გავრცელებულია ახალი კორონავირუსი COVID-19, ან კონტაქტში იმყოფებოდით იმ პირთან, რომელმაც უახლოს ხანში იმოგზაურა ჩინეთში და რესპირაციული ინფექციებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ჰქონდა.

რატომ?

როდესაც თქვენ გაქვთ ცხელება, ხველა და სუნთქვის გაძნელება, აუცილებელია დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს, რადგან ეს სიმპტომები შესაძლებელია გამოწვეული იყოს რესპირაციული ინფექციით ან სხვა სერიოზული დაავადებით. ცხელება შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი სხვადასხვა მიზეზით, თქვენი პირადი მოგზაურობის ისტორიიდან გამომდინარე შესაძლებელია ცხელების მიზეზი ახალი კორონავირუსი იყოს.

თუ თქვენ გაქვთ მსუბუქი რესპირაციული სიმპტომები და არ გაქვთ მოგზაურობის ისტორია ჩინეთში, ზედმიწევით დაიცავით ხველის ეტიკეტი და ხელის ჰიგიენა, დარჩით სახლში სრულ გამოჯანმრთელებამდე.

დაიცავით ზოგადი ჰიგიენური წესები თუ თქვენ მოგიწიათ ვიზიტი ცხოველების და/ან ზღვის პროდუქტების ბაზარში.

ცხოველებთან და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან შეხების შემდეგ რეგულარულად დაიბანეთ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით.

არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირს ან პირს;

თავიდან აიცილეთ ავადმყოფ ცხოველებთან ან გაფუჭებულ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან კონტაქტი.

მოერიდეთ ბაზარში ცხოველებთან კონტაქტს (მაგ, მაწანწალა კატები და ძაღლები, მღრღნელები, ფრინველები, ღამურები).

მოერიდეთ მაღაზიებსა და ბაზრებში პოტენციურად დაბინძურებული ცხოველების ნარჩენებთან კონტაქტს. არ გამოიყენოთ უმი და თერმულად ცუდად დამუშავებული ცხოველური პროდუქტები საჭმელად.

განსაკუთრებულად ფრთხილად მოიქეცით მაშინ, როდესაც გიწევთ უმ ხორცთან ან რძესთან კონტაქტი, რადგან თავიდან აიცილოთ უმი პროდუქტებიდან ჯვარედინი დაბინძურება.

აარიპ ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"

პროექტი „ მეგობრობის ნერგი"

ასლან შაინიძის სახელობის სოფელ დისველის საჯარო სკოლაში რამდენიმე წელია ფუნქციონირებს ეკოკლუბი ,,დისველი-2015", რომელიც წარმატებით ახორციელებს გარემოსდაცვით აქტივობას. ეკოკლუბის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი პროექტია ,, მეგობრობის ნერგი,'' რომლის ფარგლებში დისველის საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიქავის საჯარო სკოლას, რითაცსკოლებს შორის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. გაიმართა მეგობრული მატჩი ფრენბურთში. სკოლის ეზოში ჩარგეს კაკლის ნერგები პროექტის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს შორის ჯანსაღი, მეგობრული ურთიერთობების დამყარება,სკოლებში მწვანე საფარის განაშენიანება- მეგობრობის ნერგის ჩარგვა.

,,იმედია გაზაფხულზე გაიფოთლებიან ნორჩი კაკლის ნერგები, გაიზრდებიან და დიდი ხნის მანძილზე იშრიალებენ დისველისა და ქვიქავის სკოლების მეგობრობის ნიშნად. დღემ დიდი ემოციების ფონზე ჩაიარა. მოსწავლეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. აღნიშნულ პროექტს ხელმძღვანელობდნენ პედაგოგები მარინა ქობულაძე, მედეა ჯაფარიძე, ინგა ჯაჯანიძე, ლუიზა ქურდიანი'', განაცხადა ეკოკლუბის ხელმძღვანელმა მედეა ჯაფარიძემ.

არემჯი

სიახლეები

რიჩ მეტალს გრუპი

კომპანია „არემჯის“ აღმასრულებელმა დირექტორმა თანამშრომლებთან 2019 წლის შემაჯამებელი შეხვედრა გამართა

თორნიკე ლიპარტიამ, გამოსვლა სასიხარულო ინფორმაციის გახმოვანებით დაიწყო, რომელიც სახელფასო ბიუჯეტის მატებას შეეხებოდა. მისი ინფორმაციით, კომპანიის დაბალი და საშუალო რგოლის თანამშომლები 2020 წლიდან გაზრდილ ხელფასს მიიღებენ.

სხვა მიმართულების დირექტორებთან ერთად, თორნიკე ლიპარტიამ გასული 2019 წელი შეაჯამა. მან მიღწეულ წარმატებებზე, კომპანიის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. შეხვედრაზე ასევე ახალი, 2020 წლის გეგმებზე გამახვილდა ყურადღება.

წელს კომპანიის ძირითადი გამოწვევა გარემოსდაცვითი მიმართულება, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა იქნება. ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად კვლავ დარჩება სოციალური პასუხიმგებლობის მიმართულება, რომელიც წარმოების მიღმა, რეგიონში სხვადასხვა საინტერესო და სასარგებლო პროექტების განხორციელებას უწყობს ხელს. კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში არაერთი სამშენებლო სამუშაო ჩატარდა. გასულ წელს დაიგო ქვეშიკიანეთის გზის მონაკვეთზე ბეტონის გზა, რომლის ღირებულებამ მილიონ ნახევარი ლარი შეადგინა. ასევე დაბა კაზრეთში მოხდა ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სამუშაოების მეორე ეტაპი კი დაბის გადასახვევიდან ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა კომპანიის შიგნით. გარემონტდა ადმინისტრაციული კორპუსის დიდი ნაწილი, A და B კორპუსის ფასადები. დაიწყო მძიმე მექანიზაციის საამქროს გადაიარაღება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქიმიური ლაბორატორიის ახალი შენობის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე დანადგარებით.

„მოხდება ფუნდამენტური ცვლილებები გამამდიდრებელ ფაბრიკაში, ხელშეკრულება გავაფორმეთ ფინურ OUTOTEC-თან, რომელიც სამთო დარგში ევროპის ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა და ჩვენი ტიპის საწარმოებისათვის პროექტირებას და დანადგარების შერჩევა/დამონტაჟებას უზრუნველყოფს. ინტენსიურად ვმუშაობთ მათთან, რათა მოხდეს ფაბრიკის სრული გადაიარაღება, რაც გულისხმობს ფლოტაციის, შემსქელებელი და ფილტრაციის კვანძების განახლებას. აღნიშნული მოდერნიზაციის პროექტი სამომავლოდ 10-15 წლიანი მუშაობის გარანტიას მოგვცემს..“ - აღნიშნა თორნიკე ლიპარტიამ.

კომპანიაში მიმდინარეობს კადრების აქტიური გადამზადების პროგრამები. „არემჯი“ წლებია თანამშრომლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. წელს, სტუ-ს გარდა, იგეგმება მჭიდრო თანამშრომლობა ევროპელ პარტნიორებთან, რაც კომპანიის საქმიანობაში მათი გამოცდილების დანერგვას და გაზიარებას ითვალისწინებს. „არემჯიმ“ 2019-ში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ავსტრიის რესპუბლიკის ქალაქ ლეობენის სამთო უნივერსიტეტთან (Montanuniversit t der Stadt Leoben), სადაც სამომავლოდ კომპანიის კადრების კვალიფიკაციის ამაღლება განხორციელდება. კომპანია სასწავლო აკადემიის ბაზაზე თანამშრომლებს ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს სთავაზობს. პრაქტიკებზე მისული სტუდენტებისთვის სასწავლო აკადემიის მიერ, ხდება მათთვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებას.

„რაც შეეხება სამთო დარგს, ჩვენ ყველანი სამთოელები ვართ და ღირსეულად ვემსახურებით ჩვენ საქმეს. გავიარეთ რთული გზა, რათა მიგვეღო ის სახე და ფორმები, რაც დღეს აქვს მადნეულის კარიერს. უახლოეს მომავალში გადაიარაღებასთან ერთად, კარიერზე გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურაც. იგეგმება ახალი „სამთო მენეჯერიის“ მშენებლობა. სამთო საქმეში მნიშვნელოვანი მიმართულებაა სანაყაროების მოწყობა. ხანგრძლივი მუშაობისა და ძალისხმევის შედეგად, ფაქტიურად დავასრულეთ მთავარი სანაყაროების ფორმირება, რაც პირდაპირ კავშირშია გარემოს დაცვასთან.“ - განაცხადა თორნიკე ლიპარტიამ.

,,არემჯი“ გარემოსდაცვითი პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად სამუშაოებს 2020 წელს დაასრულებს. 2019 წელი ეკოლოგიის გაუმჯობესების კუთხით გარდამტეხი იყო კომპანიისთვის. „არემჯიმ“ პორტუგალიური სამშენებლო კომპანია „Elevolution“- თან 2 მლნ 200 000 ევროს ღირებულების კონტრაქტი გააფორმა, რომელიც წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას ითვალისწინებს. საწარმოო პროცესების შედეგად წარმოქმნილი მტვრის აღმოსაფხვრელად, 3 ლოკაციაზე დამონტაჟდა და წარმატებით მუშაობს თანამედროვე მტვრის დამჭერი ფილტრების

სისტემები. სამსხვრევ უბნებზე დამონტაჟებული მტვერთან ბრძოლის სპეციალური დანადგარები, 180 გრადუსით მოძრავი ქვემეხები, რომლებიც წყლის გაფრქვევით ადგილზე მტვრის წარმოქმნას ებრძვის. საწარმოო ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა უბნების რეკულტივაცია.

არაერთი სასიკეთო პროექტი ხორციელდება სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში, რომელიც კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო პროექტების ხეშეწყობას ემსახურება. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, წელს კომპანიის 380-მდე თანამშრომელმა შავი ზღვის კურორტზე დაისვენა. საახალწლოდ იღბლიანმა თანამშრომლებმა გათამაშების გზით, კომპანიისგან საჩუქრად, მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა და დასასვენებელი საგზურები მიიღეს. „არემჯი“ წლებია აფინანსებს სპორტულ და კულტურულ წრეებს რეგიონში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობა.

შეხვედრის დასასრულს, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ, გიორგი ჩხეიძემ თანამშრომლებს კომპანიის 2020 წლის სახელფასო პოლიტიკა გააცნო. მან დასაქმებულებს განუმარტა, რომ საპრემიო სისტემა (კვარტალური ბონუსის სახით) და მიმდინარე წლიდან ხელფასების მატება, შეეხება მხოლოდ შრომით ხელშეკრულებაში მყოფ თანამშრომლებს და დამოკიდებულია სამუშაო გეგმის შესრულებაზე.

„2019 წლის გეგმის წარმატებით შესრულებიდან გამომდინარე, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, გადაეხედა სახელფასო პოლიტიკისთვის. 2020 წლის იანვრიდან სახელფასო მატება შეეხო კომპანიის 2000-ზე მეტ თანამშრომელს, რაც დასაქმებულთა 80%-ია. აღნიშნული ცვლილება, წელიწადში სახელფასო ბიუჯეტის 4 მლნ 500 000 ლარით გაზრდას გულისხმობს.“ - განაცხადა გიორგი ჩხეიძემ.

მაგდა დევნოზაშვილი

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.